უცხოური კლასტერების გამოცდილება აგრობიზნესში და მათი ადაპტაცია საქართველოში

EXPERIENCE OF FOREIGN CLUSTERS IN AGRO BUSINESS AND THEIR ADAPTATION IN GEORGIA

ევგენი ბარათაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი საქართველო, თბილისი
ნინო რაჟამაშვილი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
აგრო მეწარმე, საქართველო, თბილისი

EVGENI BARATASHVILI,
Doctor of Economic Sciences,
GTU Professor Georgia,
Tbilisi, Technical University
NINO RAZHAMASHVILI,
GTU Doctorant, Agro Entrepreneur
Georgia, Tbilisi,

ანოტაცია

წინამდებარე სტატია წარმოადგენს უცხოური აგრო კლასტერების მიმოხილვას საქართველოს ჭრილში. სტატიის მიზანი არის შესაბამისობის დადგენა უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობის, მათ რესურსებსა და პოტენციალს შორის. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს გლობალურ გარემოში ღირსეული ადგილის დაკავებას, ქვეყანაში არის მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, ხშირია პოლიტიკური კონფლიქტები რაც თავისთავად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მიუხედავად იმისა რომ გატარდა არაერთი რეფორმა მოსახლეობის ფიანანსური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მაღალია ინფლაცია, ეროვნული ვალუტა დევალვირდება, აღინიშნება ინვესტიციების კლება.

ქვეყანა საჭიროებს მყარ და სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოსახლეობის კმაყოფილების ზრდას, უმუშევრობის დონის კლებას და ა.შ. სოფლის მეურნეობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე განმეხილა უცხოური კლასტერების გამოცდილება ერთერთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, აგრო ბიზნესში. შემედარებინა უცხოური ქვეყნების და საქართველოს რესურსები, მათი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მსგავსება და ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნა-თუ რამდენად შეიძლება კლასტერების ფორმირება საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *აგრო კლასტერები. სოფლის მეურნეობა. აგრო წარმოება. ეკონომიკური მაჩვენებლები.*

ABSTRACT

The main idea of the article is to find out pros and cons of foreign countries agro clusters. to identify similarity between Georgia and foreigner countries economic situation, their resources and potential. From our point of view, Georgia is really similar to Latin America and the right policy will help our country to find proper position in the world. To summarize potential of those countries will find out that Georgia has much more potential and more resources than Latin America. Our country needs right policy to use our resources properly. Like forming agro clusters. As a result we will get strong economic environment (which ones main part is agriculture), growth of satisfaction population, unemployment level will be decreased and etc.

Key words: *Business, Agriculture, Agro clusters, Agro industry, Strong economic*

კლასტერი არის ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა. ეს კონცეპტი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ პორტერმა დანერგა. ის განმარტავს კლასტერს, როგორც "ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიების და ინსტიტუციების გეოგრაფიულ კონცენტრაციას გარკვეულ სფეროში. კლასტერები მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებული ინდუსტრიების და სხვა სფეროების სპექტრს, რომლებიც ერთობლივად მონაწილეობენ კონკურენტული პროდუქტის შექმნაში, მაგალითად, ნაწილების, მანქანა-დანადგარების, სერვისების და ა.შ. ეს არის ურთიერთდაკავშირებული ინდუსტრიების კომპანიები, სამთავრობო და სხვა სტრუქტურები (მაგალითად, უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ასოციაციები)". ავტორის თანახმად, კლასტერებად ორგანიზაცია ხელს უწყობს როგორც შეჯიბრობითობას, რაც ჰორიზონტალურ სიბრტყეში ხდებაკომპანიებს შორის, ასევე კოოპერაციას ვერტიკალური ღირებულების ჯაჭვში. ჰორიზონტალურ ჭრილში, კომპანიები, ერთი და იმავე ინდუსტრიის ფარგლებში, ეჯიბრებიან ერთმანეთს კლიენტების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, მაშინ, როცა ვერტიკალურ ჭრილში კლასტერი ხელს უწყობს კოორდინაციას და ნდობის ჩამოყალიბებას, ცოდნის გადაცემას განვითარებად სფეროებში ქმნის უპირატესობას ეფექტურობით, ეფექტიანობით და მოქნილობით.[1]

არ არსებობს უნივერსალური ფორმულა კლასტერების მოწყობასთან დაკავშირებით, რომელსაც ყველა გამოიყენებს. ქვეყნები თუ თვითმმართველობები, ადგილობრივი და ინდუსტრიული სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავენ, თუ როგორი მოდელის კლასტერის განვითარება არის მიზანშეწონილი. ფაქტიურად იმდენი ტიპის მიდგომა არსებობს, რამდენი ქვეყანაცაა. გამონაკლისია ევროკავშირი, სადაც გარკვეული სტანდარტიზებული მიდგომაა კლასტერულ პოლიტიკაში წევრი ქვეყნებისთვის. ამასთან, ყველა ქვეყანაში, სადაც კლასტერული პოლიტიკის პრაქტიკაა, სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ-ნაკლებად ერევა.

კლასტერების მიზანი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამომდინარეობს რეგიონის და ქვეყნის საჭიროებიდან. ამ კუთხით, მიზნები განსხვავებულია განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკებისთვის. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში "კლასტერული ინიციატივის ამოცანები შეესაბამება ქვეყნების უმთავრეს გამოწვევებს. ძირითად შემთხვევაში, ეს არის დამატებითი ღირებულების შექმნა და საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდა. ამგვარ ქვეყნებში ნაკლებად ხდება ინვესტირება ისეთ მაღალი ღირებულების პროდუქტებში, როგორიცაა ინოვაციები და კვლევა-განვითარება. განვითარებად ქვეყნებში, კლასტერებში ერთიანდება ისეთი საბაზისო ინდუსტრიები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტექსტილის წარმოება და მსგავსი სამუშაო ძალა-ინტენსიური სექტორები.[2]

დღეისათვის საქართველოში კლასტერული განვითარების შესაძლებლობებზე საუბარი ვიწრო ექსპერტული წრეებიდან გამოდის და თანდათან უფრო დიდ აუდიტორიას ფარავს. ევროინტეგრაციის პროცესი ამ მხრივაც აჩენს დამატებით შესაძლებლობებს ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, თუმცა ჩვენთან კლასტერების ფორმირების წინაპიროებები, შესაძლებლობები და პერსპექტივები ჯერ კიდევ არაა ნათელი. უფრო მეტიც, თავად კლასტერის დეფინიციასთან დაკავშირებით არსებობს ერთმანეთისაგან რადიკალურად განხვავებული მოსაზრებები. მაგ ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წინაშე არ დგას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი კვლევა და ინიციატივა კლასტერებთან დაკავშირებით, ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა აგრო კლასტერებს. შეიძლება ეს იმიტომ, რომ კლასტერის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული ინოვაციებთან და კონკურენტუნარიანოიბასთან. აგრო სფერო კი ძველი ტრადიციული ცნებაა. [3]

ამისდა მიუხედავად სოფლის მეურნეობა ოცდამეერთე საუკუნეში ხელახლა იკავებს ადგილს ახალ გლობალურ ბიზნესში. რაც განპირობებულია გლობალიზაციით, სტანდარტიზაციით, მაღალი ხარისხის წარმოებით, მოთხოვნის მასიური ზრდით (ეს ეხება როგორც საკვებს, ასევე ბიო-საწვავის მრეწველობებს) საცალო და საბითუმო წარმოების ინოვაციებს. საბაზრო ზეწოლისა და მუდმივი პროდუქტიულობის მოთხოვნის პირობებში „თანამედროვე სოფლის მეურნეობას" სჭირდება ახალი მიდგომები რათა იყოს ნოვატორი და გაზარდოს თავისი კონკურენ-

ტუნარიანობა. ერთ-ერი ასეთი მიდგომა არის კლასტერები. აგრო კლასტერები, მარტივად რომ ვთვათ არის, აგრო ბიზნესის, წარმოების და მათთან დაკავშირებული მიდგომების გაერთანება სოფლის მეურნეობაში (აგრო წარმოებაში). ამ გაერთანებით იქმნება საერთო ღრებულებები და უმკლავდებიან დარგში არსებულ გამოწვევებს და პრობლემებს. კვლევებმა აჩვენა, რომ აგრო კლასტერები, მართლაც სარგებლის მომტანია, რადგან იქმნება გარემო სადაც გაერთიანებული ორგანიზაციების ურთიერთქმედება და საერთო ინტერესებისათვი ს ბრძოლა ქმნის კონკურენტუნარიან და ინოვაციურ პროდუქციას. სოფლის მეურნებაში გაზრდილია ჯანსაღი კონკურენცია.

ძლიერი ქვეყნები ყურადღებას ამახვილებენ აგრო სექტორის განვითარებაზე. უფრო თუ ჩავუღრმავდებით ამ საკითხს აღმოვაჩენთ, რომ წარმატებითაა დანერგილი აგრო კლასტერების პრაქტიკაც . კვლევებმა ჩვენა, რომ აგრო კლასტერები ანსაკუთრებული წარმატებით მუშაობს მცირე კომპანიებში (ფერმებში), რადგან მათ წინაშე უამრავი გამოწვევაა, მათ უწევთ არსებობა მძიმე გარემოში, რადგან ყავთ კონკურენტები დიდი კომპანიების სახით, მცირე კომპანიებისთვის/ ფერმებისთვის სირთულეს წარმოადგენს ინოვაციების დანერგვა, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და ამიტომ სირთლეს წარმოადგენს დიდი კომპანიების კონკურენციაც. პრობლემას ემატება ისიც, რომ განვითარებადი ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ დიდი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც უხეშად რომ ვთქვათ აზარალებს მცირე კომპანიებს.

აგრო კლასტერები რამდენად ეფექტურად მუშაობს, რომ წარმოვაჩინოთ კარგი იქნება უცხოური პრაქტიკის განხილვაც, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი რა მდგომარეობა იყო საწყის ეტაპზე, სანამ აგრო კლასტერების ფორმირება მოხდებოდა და რა მდგომარეობაა ახლა. ამჟამად განვიხილავთ სამხრეთ ამერიკის მაგალითს. ეს ქვეყანა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად წარატებით მუშაობს აგრო კლასტერების ჩამოყალიბება.

სამხრეთ ამერიკაში ცდილობენ საკუთარი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის დარგს განვიხილავ. აქ გვხვდება, ხილის, შაქრის, ღვინის რძის და ა.შ კლასტერები. კლასტერების განვითარება ეხმარება ქვეყანას მიზნის მიღწევაში. ჩილე, პერუ, არგენტინა, პარაგვაისად და ურიგვაიში გვხვდება კლასტერები.

განვიხილოთ, ღვინის კლასტერები სამხრეთ ამერიკაში. ღვინის კლასტერები ჩამოყალიბდა მცირე მეღვინეების და საოჯახო ტიპის ღვინის ქარხნების მიერ, რომლებიც აწარმოებდნენ და ყიდიდნენ ღვინოს ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მომხმარებლებისათვის. 1970-1980 წლებში ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი იყო ძალიან მცირე. სამხრეთ ამერიკაში წარმოებული ღვინო უმეტესწილად უცნობი იყო საზღვარგაეთ ქვეყნებისათვის.

რადიკალური ცვლილება მოხდა 1990 წელს, როდესაც დაინერგა მიდგომა "quality over quantity" (ხარისხი რაოდენობაზე წინ) ადგილობრივ ბაზარზე უხარისხო ღვინოების მაგივრად გამოჩნდა პრემიუმ კლასის ღვინო. ამჟამად დაბალი ხარისხის ღვინის ოდენობა 2,4%-ია ხოლო 85 % უტოლდება მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება. ამ პერიოდიდან დაიწყო ღვინის კლასტერების ჩამოყალიბებაც. კლასტერების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო კარგად გამოეჩინათ რა იყო მათთვის პრიორიტეტი. სწორედ ამის გამო გააუმჯობესეს ხარისხი დანერგეს ახალი მიდგომები და გახდნენ მსოფლიოსთვის მიმზიდველები ღვინის წარმოებაში. ამჟამად 500-600 მლნ. ინვესტიციური პროექტია მეღვინეობაში და უამრავი უცხოელი ინვესტორი არის დაინტერესებული.

ღვინის კლასტერები სამხრეთ ამერიკაში

ცხრილი 1.

ღვინის საექსპორტო ღირებულებები 1995 წლიდან 2004 წლამდე

ქვეყანა	1995 (1 000 $)	2001 (1 000 $)
არგენტინა	73 825	221 438
ბოლივია	27	61
ბრაზილია	12 609	1 828
ჩილე	181 763	835 486
ურუგვაი	403	3 160

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩილეში, მხოლოდ 10 წელიწადში ღვინის ექსპორტი 1995 წლის მონაცემიდან 182 მლნ. დოლარიდან 2004 წლამდე გაიზარდა 835 მლნ. დოლარამდე. არგენტინაში კი 74 მლნ. დოლარიდან 221 მლნ. დოლარამდე გაიზარდა დამეთანხმებით ზრდის ძალიან დიდი ტემპები ფიქსირდება რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია.

ხილის კლასტერები სამხრეთ ამერიკაში ისეთივე წარმატებით ფუნქციონირებს, როგორც ღვინის. ხილის ყველა კლასტერი აწარმოებს მაღალი ხარისხის პროდუქციას როგორც შიდა ასევე სხვა ქვეყნების მომხმარებლებისთვის.

სამხრეთ ამერიკაში ხილის კლასტერების ჩამოყალიბება სხვადასხვა ფაქტორებთანაა დაკავშირებული:

- ზოგიერთ კლასტერი დაგეგმილი იყო მთავრობის მიერ. როგორიცაა ყურძნის და მანგოს კლასტერი. (Petrolina Juazeiro, ბრაზილია)
- ზოგიერთ კლასტერი იყო თანამშრომლობის შედეგი პიონერ მეწარმეებსა და საჯარო სექტორს შორის. როგორიცაა ვაშლის კლასტერები სანტა კატერინაში
- ზოგიერთი კლასტერი კი შეიქმნა მსხვილი მეწარმეების ინიციატივით. მაგალითად ნესვის კლასტერი რიო გრანდეში.

ხილის კლასტერები სამხრეთ ამერიკაში დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფება რადგან მათ მუდმივად უწევთ მუშაობა პროდუქციის სრულყოფისათვის. მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, მზარდი კონკურენციის პირობებში.

საბოლოო მონაცემებით ხილის კლასტერებიდან წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის ექსპორტირება ხდება. მაგ. ნესვი -70%, ლიმონი- 18%, მანგო- 90%, ყურძენი- 30%, ვაშლი- 96%.

საინტერესოა ყავის კლასტერიც სამხრეთ ამერიკაში, კონკრეტულად ნიკარაგუაში. მეო-

ნახ. 2

სამხრეთ ამერიკის ხილის კლასტერები



ცე საუკუნის პირველ ნახევარში ყავის წარმოება ძირითადი იყო ნიკარაგუაში. მას განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა სამოქალაქო ომმა 1970 წელს და მთარობის პოლიტიკამ. რამაც გამოიწვია წარმოების შემცირება 1990 წელს ყავის ექსპორტი შეადგენდა მხოლოდ 27 600 ტონას წეილიწადში. რაც ზედმეტად დაბალი მაჩვენებელია, 1978 წელს წარმოებულ 73 600 ტონა წარმოებულ ყავასთან შედარებით.

ყავის კლასტერების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ბანკების და ფინანსური სექტორების კრიზისმა.შეიძებაითქვასრომყავისკლასტერებსი სამხრეთ ამერიკაში ჯერ კიდევ ფორმირების ეტაპზეა. 2002 წელს ქვეყანამ ახალი პოლიტიკა შეიმუშავა დარგის გასაძლიერებლად, რომელიც კლასტერებზეა დაფუძნებული. მთავრობა აქტიურად მუშაობს რათ მოხდეს წარმოების ზრდა, მეწარმეების წახალისება და ხარისხიანი პროდუქციის წარმოება ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლებისათვის.

უცხო ქვეყნების მაგალითებმა აჩვენა, რომ კლასტერები მართლაც წარმატებით ფუნქციონირებს. საქართველოში ინოვაციური კლასტერული დაგეგმვა ის ინსტრუმენტია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ წარმატების მისაღწევად. ჩვენ გვაქვს საშუალება ავიღოთ სასარგებლო ინფორმაცია და ადაპტირება მოვახდინოთ ქართულ რეალობაზე იმ ქვეყნებიდან რომლებმაც გაიარეს უკვე კლასტერების დაგეგმვის ეტაპი და მიაღწიეს მიზანს. განასხვავებენ ისტორიულად უკვე ჩამოყალიბებულ და ახალ კლასტერებს. საბედნიეროდ, საქართველოში ჩამოყალიბებული კლასტერების გარკვეული გვაქვს. მაგალითად მევენახობა-მეღვინეობის კლასტერი და სოფლის მეურნეოის გადამუშავების სხვა კლასტერები. ამათ მხოლოდ სტიმულირება სჭირდება რათა მაქსიმალურად გამოიყენონ დარგში არსებული პოტენციალი.[5]

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. „რეგიონთაშორისი და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები“ - პოლიტიკის დოკუმენტები - თბილისი 2016

[2]. „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“

[3]. „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო-თბილისი 2015

[4]. „Agro-based clusters in developing countries: staying competitive in a globalized economy“- Eva Gбlvez-Nogales - რომი 2010

[5]. http://www.interpressnews.ge „რა არის კლასტერი და როგორ გამოიყენება“ 24/11/2014 წწ